# სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების

# გ ე გ მ ა

ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმა არსებული მდგომარეობის საფუძველზე განსაზღვრავს ინსტიტუტის სამეცნიერო და ორგანიზაციული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს პერსპექტივაში. მას არ აქვს დირექტიული ხასიათი და შეიძლება დაზუსტდეს დროის მოთხოვნათა შესაბამისად. იგი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად და ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს: 1. მეცნიერს უფლება აქვს ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას. 2. მეცნიერი ვალდებულია შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მიღებულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2019 წლის 5 სექტემბერს

## I. არსებული მდგომარეობა

ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე (დაარსდა 1944 წლის 29 ივნისს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში) დიდი როლი ითამაშა საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში, როგორც კვლევითი საქმიანობის გაძლიერების, ისესამეცნიერო კადრების აღზრდის მიმართულებით. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამო ცე მულია მრავალი ნაშრომი, რომელთაც აქვთ როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი მნიშვნელობა. აღსანიშნავია “ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების” კრებულის თხუთმეტი ტომის; კრებულის – "ეკონომიკა" ექვსი ტომის; კოლექტიური ნაშრომების – „სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია“ და „საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია“; ნაშრომთა კრებულის "საბაზრო ეკონო მიკის განვითარების პრობლემები საქართველოში" ოთხი ტომის, “პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტი ტუტის სამეც ნიერო შრო მების კრებულის” თერთმეტი ტომის; მოსაზრებების, წინადადებებისა და რეკომენდაციების კრებულის – “საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგიერთი მიმართულება”; საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციათა კრებულების 12 ტომის გამოცემა და სხვ. საქართველოს მიერ

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შექმნილი რთული მდგომარეობის გამო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა მეცნიერება, რაც აისახა ეკონომიკურ მეცნიერებაზეც. დაბალი ხელფასებისა და მასშტაბური შემცირებების გამო მეცნიერთა დიდმა ნაწილმა სხვა სფეროში გააგრძელა საქმიანობა. 2006 წლიდან დაიწყო მოუმზადებელი რეფორმები, რაც ითვალისწინებდა მეცნიერებათა აკადემიის დაშლას, მათგან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გამოყვანასა და მეცნიერთა რაოდენობის კვლავ შემცირებას, რასაც 2008 წლიდან დაემატა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დახურვა, შენობების ჩამორთმევა და ნაწილის უნივერსიტეტებთან ასევე მოუმზადებელი შეერთება. წლების განმავლობაში ინსტიტუტები მუშაობდნენ დებულების გარეშე, არ იყო განსაზღვრული ინსტიტუტებისა და მეცნიერთა სტატუსი, ხელფასი რჩებოდა უკიდურესად მცირე. უნივერსიტეტებთან შეერთების შემდეგ კვლავ გრძელდებოდა ინსტიტუტების დახურვა, შენობების ჩამორთმევა, უხელფასობა და სხვ. გამონაკლისი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის ხელმძღვანელობამ შეინარჩუნა ინსტიტუტები.

ასეთ პირობებში მოხერხდა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ წარმატებების მიღწევა როგორც სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის გაძლიერების, ისე საერთაშორისო აღიარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიმართულებით. კერძოდ, ბოლო 10 წლის განმავლობაში:

1. თითქმის გასამმაგდა თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომთა რაოდენობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო გამოცემებში, მათ შორის, იმპაკტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში. მათი ნაშრომები ინდექსირებულია სხვადასხვა ელექტრონულ საძიებო ბაზებში და აქვთ ციტირების ინდექსი. თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში.

2. დაარსდა საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი “ეკონომისტი”, რომელიც 2016 წლიდან გამოდის როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული (www.ekonomisti.tsu.ge) ფორმით (ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე) და ინდექსირებულია დიდ ელექტრონულ ბაზაში (ERIH PLUS). დღეისათვის გამოცემულია ჟურნალის 50 ნომერი. მის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოში შედიან მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-ეკონომისტები, მაგალითად, გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი ჯეფრი საქსი;

3. დაარსდა პერიოდული გამოცემა “პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული”, რომელშიც იბეჭდება ინსტიტუტის თანამშრომელთა გეგმური ნაშრომები და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა სამეცნიერო სტატიები. დღეისათვის გამოცემულია მისი 11 ტომი;

4. მომზადდა რეკომენდაციების, წინადადებებისა და მოსაზრებების კრებული და დაეგზავნა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

5. ტრადიციად იქცა ინსტიტუტის ორგანიზებით ყოველ წელს საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციების გამართვა;

6. ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების მოხსენებათა კრებულები გამოიცემა როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით,

ამისათვის შეიქმნა საერთაშორისო კონფერენციების – „ეკონომიკა-XXI საუკუნე“ (ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები და საერთაშორისო ინტერნეტ კონფერენციები) ვებ-გვერდი (www.conferenceconomics.tsu.ge), რომელსაც აქვს ISSN კოდი და თითოეულ ნაშრომს აქვს თავისი ელექტრონული მისამართი;

7. თანამშრომლებმა მოიპოვეს შოთა რუსთაველის ფონდის გრანტი;

8. გაფართოვდა კავშირები მსოფლიოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებთან. ეს ცენტრებია: კოლუმბიის უნივერსიტეტი (ნიუ-იორკი, აშშ); რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი (მოსკოვი, რუსეთი); ნიუ-იორკის უნივერსიტეტი (ნიუ-იორკი, აშშ); კალიფორნიის უნივერსიტეტი (ბერკლი, აშშ); კალიფორნიის უნივერსიტეტი (დეივისი, აშშ); კალიფორნიის უნივერსიტეტი (ლოს ანჯელესი, აშშ); კალგარის უნივერსიტეტი (კანადა); ბერგენის უნივერსიტეტი (ნორვეგია); კეპლერის უნივერსიტეტი (ავსტრია); ტრინიტის უნივერსიტეტი (ირლანდია); ჰერიოტ–ვოტის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი); ლონდონის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი); ლონდონის ეკონომიკის სკოლა (დიდი ბრიტანეთი); ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი (ავსტრია); გენტის უნივერსიტეტი (ბელგია); პოზნანის უნივერსიტეტი (პოლონეთი); იოანე პავლე მეორის სახელობის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი (პოლონეთი); ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი (კიევი, უკრაინა); ტელ-ავივის უნივერსიტეტი (ისრაელი); ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტი (იტალია); ერასმუსის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები); ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტი (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); ვილნიუსის უნივერსიტეტი (ვილნიუსი, ლიეტუვა) და სხვ.

9. ინსტიტუტის ინიციატივით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დაარსდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ეკონომიკის დარგში. შესაბამისი კონკურსი ტარდება ინსტიტუტის ბაზაზე;

10. დაარსდა სადისკუსიო დარბაზი, სადაც მოისმინება როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა, ასევე ზემოთ აღნიშნული პრემიის მოსაპოვებლად გამართულ კონკურსში მონაწილეთა სამეცნიერო მოხსენებები;

11. დაარსდა ინსტიტუტის გამომცემლობა, რომლის ეგიდით გამოიცემა ინსტიტუტის ჟურნალი, შრომების კრებული, სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებათა კრებულები, თანამშრომელთა წიგნები, საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი ბროშურები და სხვა;

12. შემოღებული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების მენეჯერის თანამდებობა, რაც იძლევა ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში ჩართვის გაძლიერების შესაძლებლობას;

13. შეიცვალა გეგმური ნაშრომების წარმოდგენის და შენახვის წესი. მათი წარმოდგენა ამჟამად ხდება სტატიის სახით და ქვეყნდება ინსტიტუტის შრომათა კრებულში ან სხვა გამოცემებში, ნაცვლად ხელნაწერის ფორმით წარმოდგენისა და შემდგომი დაარქივებისა, რითაც გაიზარდა გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა და შემცირდა საარქივო დანახარჯები, ამაღლდა მათი ხარისხი;

14. ინსტიტუტთან დაარსდა სასწავლო ცენტრი, რომელიც იძლეოდა გარკვეულ დამატებით შემოსავლებს, უნივერსიტეტთან შეერთების შემდეგ ინსტიტუტის ბაზაზე არსებობს ბუღალტერიის შემსწავლელი კურსები, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების სისტემაში, რომელიც ასევე იძლევა გარკვეულ დამატებით შემოსავლებს;

15. შემოღებული იქნა ინსტიტუტის დაარსების დღე (29 ივნისი), რომელიც აღინიშნება სხვადასხვა ღონისძიებით;

16. საიუბილეო სხდომებით აღინიშნა ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე, 70-ე და 75-ე წლისთავი. ამ თარიღებთან დაკავშირებით, ახალი საარქივო მასალების მოპოვების საფუძველზე, გამოიცა წიგნები;

17. ტრადიციად დამკვიდრდა სახელოვან ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა;

18. დაარსდა "დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის" რედაქცია და მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ენციკლოპედიის მოსამზადებლად, რაც მეტად შრომატევადი აღმოჩნდა;

19. 2019 წელს ინსტიტუტში შესრულებული შესაბამისი ნაშრომების (განსაკუთრებით, მდგრადი განვითარების, „მწვანე" და „წრიული" ეკონომიკის თემატიკაზე) საფუძველზე გახდა გაეროს UN Sustainable Development Solutions Network (UN SDSN)-ისა და Education Academia Stakeholder Group (EASG)-ის წევრი, რაც საშუალებას მოგვცემს მათი მხარდაჭერით განხორციელდეს გარკვეული პროექტები. ამ დანიშნულებით ინსტიტუტში შეიქმნა „წრიული" ეკონომიკის კლუბი;

20. გაუმჯობესდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – შემოყვანილი იქნა ინტერნეტი, რომლითაც დაიფარა მთელი შენობა, გაძლიერდა კომპიუტერებით უზრუნველყოფა, შეიქმნა ინსტიტუტის ვებ-გვერდი (www.pgie.tsu.ge), შემოყვანილი იქნა ბუნებრივი აირი, შეიცვალა შენობის სახურავის ნაწილი, გარემონტდა შენობის ინტერიერი და სხვ.) და სხვა;

21. სამეცნიერო და ორგანიზაციული მუშაობის მიხედვით ინსტიტუტი ზედი- ზედ ორჯერ, 2009 და 2010 წლებში, აღიარებული იქნა გამარჯვებულად (როგორც საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია) საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, რომელსაც ავლენდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მას შემდეგ აღნიშნული კონკურსი აღარ ჩატარებულა, ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან შეერთე-ბის გამო;

2012 წლიდან ინსტიტუტის დახურვისა და შენობის წართმევის საშიშროება აღარ არსებობდა, თუმცა ხელფასები ძალიან მცირე რჩებოდა. 2015 წელს შევიდა ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში (განისაზღვრა ინსტიტუტებისა და მეცნიერთა სტატუსი და სხვ) მოხერხდა ხელფასების მომატება. 2018 წელს დამტკიცდა ინსტიტუტის დებულება და ჩატარდა კონკურსები ყველა დონეზე.

ინსტიტუტის წარმატებები, უპირველეს ყოვლისა, დამსახურებაა ინსტიტუტის თანამშრომლთა ყველა თაობისა, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით აკადემიკოს პაატა გუგუშვილს, ინსტიტუტის დაარსების ინიციატორსა და 32 წლის განმავლობაში მის უცვლელ დირექტორს, დირექტორებს: აკადემიკოს ავთანდილ გუნიას, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავასა და პროფესორ გიორგი წერეთელს, როგორც სამეცნიერო მოღვაწეობის, ისე ორგანიზაციული საქმიანობის მიხედვით. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის, ასევე საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოების მხარდაჭერა.

## II. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ინსტიტუტის თემატიკა განისაზღვრებოდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და მის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემებით. ბოლო წლებში, 2015 წლამდე, ინსტიტუტი მუშაობდა ისეთ სამეცნიერო პრობლემებზე, როგორიცაა: საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის თეორიული პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში; მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზები და დაძლევის გზები; პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკაზე გლობალიზაციის გავლენის შედეგები; საქართველოში: მაკროეკონომიკური, სექტორული, რეგიონული და სტრუქტურული განვითარების აქტუალური პრობლემები; ბიზნესის განვითარების პერსპექტივები; საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის მიმართულებები და გზები; საფინანსო და საბანკო სისტემის სრულყოფის პრობლემები; უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების მექანიზმის შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებებისა და გზების განსაზღვრა; საჯარო ეკონომიკის განვითარების პრობლემები; მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები; აგრარული სექტორის განვითარების მიმართულებები და გზები და სხვ.

2014 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნით ინსტიტუტმა წარადგინა შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოწონებულ იქნა ექსპერტთა მიერ და 2015 წლიდან ინსტიტუტი შეუდგა მის განხორციელებას. პროექტის თემა მეტად აქტუალური და მოცულობადია: "ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში". პროექტის არჩევა განაპირობა საქართველოს ეკონომიკაში არსებულმა მდგომარეობამ. საქართველოს ეკონომიკური (და, საერთოდ, საზოგადოებრივი) განვითარების დაჩქარება შესაძლებელია მხოლოდ ახალი, , ინოვაციური (ცოდნაზე დაფუძნებული) ეკონომიკის მშენებლობის გზით, რასაც ადგილი ჰქონდა და აქვს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

ახლო მომავალში ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკა განისაზღვრება ზემოთ მოტანილი 7 წლიანი პროექტის შესაბამისად. შვიდწლიანი პროექტი უნდა დამთავრდეს 2021 წელს, გამოიცეს შესაბამისი წიგნი და დაეგზავნოს სამთავრობო ორგანოებს.

პერსპექტივაში, ინსტიტუტის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გამოიყოს სამეცნიერო საქმიანობის ორი მთავარი მიმართულება - ფუნდამენტური და გამოყენებითი. ფუნდამენტური (თეორიული) კვლევები უნდა ეხმიანებოდეს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, გამოყენებითი კი ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას.

ფუნდამენტური (თეორიული) მიმართულებით შეიძლება გამოიყოს შემდეგი თემები:

### 1. ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები. ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ტენდენციები

ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ხანია საუბარია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთა ნაკლოვანებებზე, რომ ისინი სრულყოფილად ვეღარ გამოხატავენ საზოგადოების კეთილდღეობის დონეს და გვთავაზობენ სხვა მაჩვენებლებსაც.

ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება ეკონომიკაში მიმდინარე თვისებრივ ცვლილებებზე და კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების პირობებშიც კი. ამდენად, ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემები ერთობლივ და უფრო ღრმა დამუშავებას მოითხოვს.

## 2. ეკონომიკური რეგრესის, ეკონომიკური (და ფინანსური) კრიზისების პროგნოზირებისა და რეგულირების პრობლემები

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ეკონომიკური რეგრესის გამომწვევი მიზეზების, წყაროებისა და მაჩვენებლების, ინფორმაციის არათანაბარი წვდომისა და ასიმეტრიის, ეკონომიკური აგენტების რაციონალური ქცევის, „უხილავი ხელის“, ფინანსური შოკებისა და ბუშტების, ბანკების საქმიანობის რისკების შეფასების, სეკურიტიზაციის, ვოლატილობის, რეფინანსირებისა და კრედიტის განაკვეთებს შორის განსხვავების, გიგანტური მასშტაბებით ვალების დაგროვების, ეკონომიკის რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის დიდი დისპროპორციის წარმოქმნის, ეკონომიკის საყოველთაო ფინანსებიზაციის, სავალუტო კურსის, ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემები და სხვ.

ყურადღება უნდა გამახვილდეს კრიპტოვალუტისა და ბიტკოინის წარმოშობისა და მისი საფინანსო სისტემაზე და საერთოდ ეკონომიკაზე გავლენის თეორიულ საკითხებზე.

## 3. მაკროეკონომიკური მოდელები

უნდა განხორციელდეს ეკონომიკური ზრდის არსებული მოდელების კრიტიკული ანალიზი თანამედროვე ეკონომიკური პროცესების შესაბამისად.

## 4. მიკროეკონომიკური პრობლემები

ყურადღება უნდა გამახვილდეს წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმების გამოყენებაზე, რასაც წარმოშობს ახალი ეკონომიკური პროცესები და, განსაკუთრებით, ეკოლოგიური მოთხოვნები. ასევე უნდა გაძლიერდეს მეწარმეობის განვითარების პრობლემათა დამუშავება.

## 5. ეკონომიკური მიმდინარეობები, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია

კრიტიკულად უნდა იქნეს განხილული არსებული ეკონომიკური მიმდინარეობი და ცალკეული ეკონომიკური მოძღვრებები, თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე.

**გამოყენებითი კვლევების მიმართულებით შეიძლება გამოიყოს შემდეგი თემები:**

**1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. გლობალიზაციის პროცესთა ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის პრობლემები.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების ინტერნაციონალიზაციის, ეკონომიკურ პროცესთა საერთაშორისო რეგულირების, საერთაშორირო კონკურენციის გამწვავების, საერთაშორისო მომსახურების (საბანკო, საფინანსო, სადაზღვევო, საინფორმაციო და სხვ.) პრობლემებს და სხვ. ცალკე უნდა გამოიყოს გლობალურ ეკონომიკურ-ეკოლოგიურ პრობლემათა კვლევის საკითხები: **რესურსების ამოწურვის, სასურსათო, სიღარიბის, ენერგეტიკული, ეკონომიკური კრიზისების, კლიმატის ცვლილების, გეოფონდის განადგურებისა და გაღარიბების, მსოფლიო ოკეანის, ატმოსფეროს დაბინძურებისა და სხვ. პრობლემა.**

## საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები

გამოკვლეული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკის დინამიური განვითარების უზრუნველყოფის პრობლემები, როგორც მშვიდობიან, ისე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციების პირობებში და მოიცავს სასურსათო, ენერგეტიკულ, რესურსულ, ტექნოლოგიურ, ინსტიტუციურ, საფინანსო, ეკოლოგიურ, პოლიტიკურ და ა. შ. უსაფრთხოებას.

### 2. მაღალი და უახლესი ტექნოლოგიების ეკონომიკაში გამოყენების პრობლემები

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენებას არა მხოლოდ როგორც კრიპტოვალუტისა და ბიტკოინის შექმნის ტექნოლოგიას. ასევე საქართველოში ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორიცაა: მოაზროვნე ტექნოლოგიები, ელექტრონული ფული, ელექტრონული მთავრობა და სხვ.

## 3. სიღარიბისა და უმუშებრობის პრობლემა

საქართველოში **სიღარიბისა და უმუშებრობის** პრობლემა მწვავედ დგას. შესწავლილი უნდა იქნეს მეწარმეობის, მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების, ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემები.

გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა მცირე და საშუალო ბიზნესის და მისი მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც უზრუნველყოფს საშუალო ფენის არსებობას (რაც თავისთავად განაპირობებს სოციალურ სტაბილურობას), უმუშევრობისა და სიღარიბის დაბალ დონეს. ასევე მსხვილ საწარმოებში ავტომატიზაციის დონე მაღალია და კიდევ უფრო იზრდება, რაც ამცირებს აქ დასაქმებულთა ხვედრ რაოდენობას. დღეისათვის წამყვან ქვეყნებში მშპ-ს მოცულობა და დასაქმებულთა რაოდენობა მცირე და საშუალო ბიზნესში აჭარბებს მათ რაოდენობას მსხვილ ბიზნესში, მცირე და საშუალო საწარმოთა განფენილობა გაცილებით დიდია მსხვილ საწარმოთან შედარებით და ა.შ.

## 4. სექტორული და რეგიონული პრობლემები

გამოკვლეული იქნება საქართველოში ეკონომიკის დარგების (მრეწველობა, მომსახურება, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, მშენებლობა, ტურიზმი, სოფლის ეკონომიკა და მათი ქვედარგები) განვითარების პრობლემები წარმოების დივერსიფიკაციის გათვალისწინებით, ასევე მეტად მწვავე რეგიონული და სტრუქტურული პრობლემები.

## 5. მდგრადი განვითარების ეკონომიკური პრობლემები

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მილევადი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ბუნების დაცვაზე, რაც მსოფლიოში ყველაზე მწვავედ დგას და ფიგურალურად განიხილება როგორც „მწვანე“ ეკონომიკისა და „წრიული“ ეკონომიკის პრობლემები. ეს პრობლემები უშუალოდაა დაკავშირებული კაცობრიობის არსებობასა და ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებასთან. მისი გადაჭრა დაკავშირებულია ცვლილებებთან ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტში, თვით საკუთრების ფორმებსა და ხასიათში.

## 6. მულტიდისციპლინარული კვლევების განვითარება

მომავალში მნიშვნელოვანია კვლევები განხორციელდეს სხვა მეცნიერებათა მიღწევების გამოყენებით. ასეთი მეცნიერებებია: მათემატიკა, სოციოლოგია, დემოგრაფია, ისტორია, გეოგრაფია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სამართალი, პოლიტოლოგია, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა. ფინანსური სახსრების არსებობის პირობებში სასურველია ამ დარგების წარმომადგენელთა მიღება ინსტიტუტში, განსაკუთრებით დემოგრაფებისა და იურისტების.

ინსტიტუტი უნდა იყოს ქვეყანაში ეკონომიკის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელების უპირველესი კერა.

# III. ინსტიტუტის უნივერსიტეტთან ინტეგრაცია

უნივერსიტეტის წესდების და ინსტიტუტის დებულების მიხედვით ინსტიტუტი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს: სასწავლო პროცესში; სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში.

ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

ინსტიტუტს შეუძლია მოამზადოს ან თარგმნოს და გამოცეს სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა.

# IV. საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა

საჭირო კადრების მოზიდვის შემდეგ უნდა შეიქმნას არა სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - საკონსულტაციო და საექსპერტო ცენტრი, რომელიც გასწევს მრავალფეროვან საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობას.

## V. სახელმწიფო ორგანოებთან და ბიზნეს სტრუქტურებთან ურთიერთობა

ინსტიტუტმა უნდა მოამზადოს და მთავრობას წარუდგინოს წინადადებები, მოსაზრებები და რეკომენდაციები ქვეყნის აქტუალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის შესახებ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება შვიდწლიანი პროექტი, რომელზეც ამჟამად მუშაობს ინსტიტუტი. ყველაზე საუკეთესო ფორმა მთავრობასა და ინსტიტუტს შორის ურთიერთობისა იქნება სამთავრობო შეკვეთების მიღება. ინსტიტუტმა ასევე (სადისკუსიო დარბაზისა და ჟურნალ „ეკონომისტის“ მეშვეობით) უნდა გასწიოს ხელისუფლების მიერ მიღებული ან მისაღები ეკონომიკური დოკუმენტების მეცნიერულად დასაბუთებული ოპონირება, უნდა გაძლიერდეს დისკუსია, ჯანსაღი, არაპოპულისტური, პოლიტიკური ტვირთისაგან თავისუფალი კამათი ქვეყნისათვის საჭირბოროტო ეკონომიკურ საკითხებზე.

ბიზნესწრეებთან ურთიერთობაც უნდა ემყარებოდეს მათი მხრიდან შეკვეთების მიღებას, რითაც ბიზნესი ჯერჯერობით დაინტერესებული არ არის, თუმცა ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებასთან ერთად ასეთი ურთიერთობები გარდაუვალია.

## VI. საკადრო პოლიტიკა

საკადრო პოლიტიკა მიმართული იყო არსებული კადრების შენარჩუნებისაკენ, რაც ინსტიტუტმა შეძელო, მაგრამ, პრობლემები რასაკვირველია არსებობს, განსაკუთრებით საჭიროა ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების მოზიდვა. მაგრამ, ხელფასების სიმცირე და სახელფასო რეზერვის არარსებობა ართულებს ამ პრობლემის გადაჭრას. მთავრობის ახალი ინიციატივის (განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსების გაზრდის შესახებ) და სახელმწიფოსა და ბიზნესის მხრიდან შეკვეთების მიღების საფუძველზე, ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი გახდება.

ამჟამად კი წარმოქმნილ ვაკანსიებზე აუცილებლად ნიჭიერი ახალგაზრდა (სასურველია 30 წლამდე) მეცნიერები უნდა მივიღოთ.

## VII. ინსტიტუტის სამეცნიერო გამოცემები და სამეცნიერო ნაშრომთა გამოცემა

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნდეს მაღალი რეიტინგის გამოცემებსა და ჟურნალებში (მათ შორის, საზღვარგარეთ და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში), ასევე ისინი განთავსდეს რეიტინგულ ბაზებში. მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება უნდა წახალისდეს ყველა საშუალებებით. ეს პრობლება ნაწილობრივ გადაწყვეტილია ჟურნალისა და სამეცნიერო შრომების კრებულის დაარსებით, კონფერენციების ორგანიზებით, საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების გაძლიერებითა და გამომცემლობის არსებობით, რომელიც ამცირებს დანახარჯებს და ზოგავს დროს. წინამდებარე სტრატეგიული გეგმის I-ელ ნაწილში მოყვანილია ინსტიტუტის გამოცემები, რომლებიც საშუალებას იძლევიან მეცნიერებმა წარმატებით და საკმაო რაოდენობით გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები. ამასთან ამ

გამოცემათა რეიტინგი საკმაოდ მაღალია. პერსპექტივაში უნდა განხორციელდეს ჟურნალ „ეკონომისტის“ ინდექსირება Scopus-სა და Web of science-ის ბაზებში.

## VIII. გეგმურ ნაშრომთა მონიტორინგი და განხილვა

უნდა გაგრძელდეს გეგმური ნაშრომების სტატიის სახით წარმოდგენა და სამეცნიერო საბჭოზე მეცნიერთა მიერ შერულებული სამუშაოს მოსმენის (წელიწადში ორჯერ) ტრადიცია, გაძლიერდეს განყოფილებებში ნაშრომთა პერიოდული განხილვა და მათი რეცენზირება.

## IX. სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება

ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითადი მიმართულებად უნდა შევინარჩუნოთ მაღალი დონის სამეცნიერო ღონისძიებების გამართვა, იქნება ეს საერთაშორისო კონფერენციები, სიმპოზიუმები, სემინარები თუ ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებები; გაგრძელდეს სადისკუსიო დარბაზზე სამეცნიერო მოხსენებების მოსმენა; დაიწყოს ჟურნალ „ეკონომისტისა“ და სადისკუსიო დარბაზის ერთობლივი მრგვალი მაგიდების მოწყობა, უნდა აღდგეს წიგნების პრეზენტაციებისა და განხილვის, სემინარების ჩატარების პრაქტიკა. სასურველია, ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღონ უცხოელმა მეცნიერებმა.

## X. საერთაშორისო სამეცნიერო კავშირები

ინსტიტუტს კავშირები აქვს დამყარებული მსოფლიოს არაერთ სამეცნიერო ცენტრთან (იხ. სტრატეგიული გეგმის I ნაწილი), მაგრამ აუცილებელია ამ მიმართულების გაძლიერება. ინსტიტუტმა უნდა შეძლოს ერთობლივი საერთაშორისო ღონისძიებების გამართვა, ერთობლივი გრანტების მოპოვება, სხვა სამეცნიერო პროექტების ერთობლივი განხორციელება. უნდა გაძლიერდეს კავშირები გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

# XI. ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარკვეული გაუმჯობესების მიუხედავად (იხ. სტრატეგიული გეგმის I ნაწილი), არსებობს არაერთი პრობლემა. მათგან ძირითადია: შენობის სახურავის ძველი ნაწილის შეცვლა, შენობის გათბობა, კონდენციონირება, შენობის ფასადის აღდგენა, კომპიუტერებით უზრუნველყოფის გაძლიერება. პერსპექტივაში შესაძლებელი იქნება კვების ობიექტის გახსნა.

## 1. საბიბლიოთეკო ფონდი

ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფონდი საჭიროებს მნიშვნელოვან განახლებას და თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურით მის შევსებას. რაც შეიძლება მოკლე დროში განხორციელდება საბიბლიოთეკო ფონდის გაციფროვნება და მისი ჩართვა საერთაშორისო საბიბლიოთეკო სივრცეში.

## 2. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროები

ინსტიტუტის დებულებით დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები და დამატებითი შემოსავლები. ახლო მომავალში მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ზრდა. ინსტიტუტის მხრიდან აქცენტი უნდა გაკეთდეს დაფინანსების დამატებით წყაროებზე - გრანტები, ხელშეკრულებები, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით პროექტების რეალიზაცია, კურსების ორგანიზების გაძლიერება, შემოწირულობები, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა, მთავრობისა და ბიზნესის შეკვეთები და ა.შ.

# XII. დისციპლინა

დისციპლინა უნდა ემყარებოდეს ინსტიტუტის შიგაგანაწესს, შესაბამის კანონმდებლობას, ზემდგომი ორგანოების ნორმატიულ აქტებს. განსაკუთრებული ყურადღება კი უნდა მიექცეს საშემსრულებლო დისციპლინას. დისციპლინის გაძლიერება მოხდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებისა და ხელფასების ზრდის კვალობაზე.

## XIII. სტრატეგიული გეგმის ძალაში შესვლა, მასში ცვლილებების შეტანა და განთავსება

1. სტრატეგიული გეგმა ძალაში შედის მიღებისთანავე.
2. სტრატეგიული გეგმაში ცვლილებები შეიძლება შევიდეს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით.
3. სტრატეგიული გეგმა განთავსდება ინსტიტუტის ვებ-გვერდზე - იურიდიულ ცნობარებში.

**რამაზ აბესაძე**

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს

თავმჯდომარე, ემდ, პროფესორი